საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/986

ქ. ბათუმი 08 ნოემბერი, 2022 წ.

ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბრძანების, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის N01-02/11 ბრძანების, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2022 წლის 4 ნოემბრის MES 1 22 0001406632 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს **ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესი (დანართი 1).**
2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მარეგულირებელი აქტების ველში და ,,საუნივერსიტეტო ნორმატიულ აქტებში").
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტებს და პერსონალს.
4. პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული წესის გაცნობა პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის.
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის
01-08/986 ბრძანების
დანართი N1

ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „ბსუ" ან „უნივერსიტეტი") პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების ჩატარების წესსა და პირობებს.

2. წინამდებარე წესი შემუშავებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილებისა და ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის N01-02/11 ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 2. შუალედური შეფასების არსი და მიზანი

1. შუალედური შეფასების მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნისა და უნარების დონის დადგენა სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.
2. შუალედური შეფასება, როგორც განმავითარებელი შეფასება, ადგენს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას, მიმართულია სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ და გამოიყენება, როგორც პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის მიზნებისათვის, ასევე პროგრამის შემდგომი სრულყოფისთვის.
3. შუალედური შეფასება არის სავალდებულო და წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას.

მუხლი 3. შუალედური გამოცდის ორგანიზება

1. შუალედური შეფასება ტარდება, როდესაც პროფესიულ სტუდენტს გავლილი ექნება მოდულების შესაბამისი სწავლის შედეგების არანაკლებ 40% და არაუმეტეს 60%.
2. შუალედური შეფასება ტარდება ბსუ-ს რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში.
3. ინფორმაცია შუალედური შეფასების ვადების და პირობების შესახებ პროფესიულ სტუდნეტს მიეწოდება შეფასების დაგეგმვამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე;

4. <u>დუალური ფორმით პროგრამის განხორციელების შემთხვევაში შუალედურ შეფასებაზე დაშვების წინაპირობაა სრულფასოვნად შევსებული ჩანაწერების ჟურნალი</u>.
5. პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების ინსტრუმენტს, შეფასების პროცესსა და შეფასების მტკიცებულებას.
6. შუალედური შეფასების დაგეგმვასა და განხორციელებას უზრუნველყოფს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი (შემდეგში - ცენტრი), ხოლო დუალური მიდგომით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, აგრეთვე „საექთნო განათლების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში - უნივერსიტეტი, შესაბამის სასწავლო საწარმოსთან/კლინიკასთან ერთად.
7. ბსუ-ს რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით იქმნება **შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფი** (შემდეგში - ადმინისტრირების ჯგუფი) და **შუალედური შეფასების კომისია** (შემდეგში - შეფასების კომისია), ცენტრის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.
8. ადმინისტრირების ჯგუფის შემადგენლობაში შედიან მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროგრამის ხელმძღვანელები.
9. ადმინისტრირების ჯგუფი უფლებამოსილია შუალედური შეფასების დაგეგმვაში, რაც მოიცავს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას.
10. შეფასების კომისიის შემადგენლობაში შედიან ბსუ-ს პარტნიორი ორგანიზაციების და დარგობრივი ასოციაციების ან/და დარგის ექსპერტების/ ან/და განათლების ექსპერტების ან/და სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების წარმომადგენლები. დუალური პროგრამების შემთხვევაში სავალდებულოა პარტნიორი სასწავლო საწარმოს/საწარმოების მონაწილეობა.
11. შუალედური შეფასების კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტს უნდა ქმნიდეს პარტნიორი ორგანიზაციების/დარგობრივი ასოციაციების/სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები, ან/და დარგის/განათლების ექსპერტები.
12. შეფასების კომისიის შემადგენლობაში დასაშვებია შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში ჩართული პირების მონაწილეობა.
13. შეფასების კომისიის წევრი ვალდებულია, წინასწარ გაეცნოს სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შექმნილ შეფასების ინსტრუმენტს და მონაწილეობა მიიღოს ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ ორგანიზებულ საკონსულტაციო შეხვედრაში, შუალედური შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით.
14. შეფასების კომისია მონაწილეობს პროფესიული სტუდენტის შეფასებაში და გასცემს შუალედურ შეფასებას. კომისია შეფასებისას ეყრდნობა არსებული შეფასების ინსტრუმენტს და შეფასების კრიტერიუმებს, რომელსაც გავლილი აქვს ვალიდაცია.
15. პროფესიულ სტუდენტთა ნამუშევრების შეფასებისას, საჭიროების შემთხვევაში, შეფასების კომისიის წევრები უფლებამოსილი არიან მოითხოვონ შეფასების ინსტრუმენტის შემმუშავებელ სამუშაო ჯგუფის წევრებთან კონსულტაცია.
16. შეფასების თაობაზე ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტს მიეწოდება შეფასების კომისიის მიერ შეფასების ჩატარების დღიდან მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის ვადაში. შედეგების გაცნობის დროს დაცული უნდა იყოს პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობა. დაუშვებელია კონკრეტული სტუდენტის შეფასება გასაჯაროვდეს

ჯგუფში, სტუდენტის თანხმობის გარეშე (სიტყვიერი ან წერილობითი). ასეთ შემთხვევაში ჯგუფში შედეგები უნდა იქნას განხილული განზოგადებულად, ხოლო კონკრეტული სტუდენტის შედეგები - ინდივიდუალურად.

17. ინფორმაცია შუალედური შეფასების შედეგების თაობაზე მიეწოდება პარტნიორ საწარმოს, საჭიროების შემთხვევაში შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით.

მუხლი 4. შუალედური შეფასების ინსტრუმენტები და მათი ვალიდაცია

1. შუალედური შეფასება შეესაბამება პროფესიულ განათლებაში დადგენილი შეფასების სისტემის ზოგად მახასიათებლებს: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, მოქნილობა, სამართლიანობა და ობიექტურობა.

2. შუალედური შეფასების თემატიკა უნდა მოიცავდეს <u>შუალედური შეფასების მომენტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულების დასრულებულ სწავლის შედეგებს</u>, რაც გულისხმობს კომპლექსურად, განვლილი თემატიკის შემაჯამებელ დავალებას/დავალებებს. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს:

ა) კომპლექსური დავალება;

ბ) პრაქტიკული დავალება;

გ) პრეზენტაცია;

დ) პორტფოლიოს პრეზენტაცია;

ე) დასრულებული ან მიმდინარე პროექტი;

ვ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სხვა ტიპის დავალება/დავალებები.

3. შუალედური შეფასების ფარგლებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს დიფერენცირებული (ქულობრივი) ან/და არადიფერენცირებული (დადასტურდა/ვერ დადასტურდა) შეფასება;

4. <u>შუალედური შეფასება სრულდება განმავითარებელი უკუკავშირით, რაც გულისხმობს კომენტარს/უკუკავშირს პროფესიული სტუდენტის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის და სწავლის ხელშეწყობის მიზნით</u>.

5. შეფასების ინსტრუმენტი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;

ბ) პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი;

ე) შეფასების ჩატარების ადგილი;

ვ) შეფასების ჩატარების თარიღი;

ზ) სწავლის შედეგი; შესრულების კრიტერიუმები; შეფასების მიმართულება; შეფასების ინსტრუმენტი; შეფასების პროცესის აღწერა; შეფასების მტკიცებულება; შეფასების სქემა; დამატებითი პირობები; განმეორებითი შეფასების პროცედურები;

6. შეფასების ინსტრუმენტის პროექტს ადმინისტრირების ჯგუფი ვალიდაციის მიზნით, შეფასების განხორციელებამდე 10 სამუშაო დღით ადრე, წარუდგენს ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს, რომელიც ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტების თავსებადობას განვლილ მოდულებთან მიმართებაში.

7. ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი ვალდებულია წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტის პროექტი შეითანხმოს მისი მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა და აღნიშნული ქმედებით დაადასტუროს შუალედური შეფასების

ინსტრუმენტის ვალიდურობა ან რეკომენდაციებით და წინადადებებით დაუბრუნოს ადმინისტრირების ჯგუფს. ადმინისტრირების ჯგუფი ვალდებულია შეფასების განხორციელებამდე 3 სამუშაო დღით ადრე ხელახლა წარმოადგინოს შეფასების ინსტრუმენტები რეკომენდაციების გათვალისწინებით.
8. ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში ჩართოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები და სხვა პროფესიული განათლების მასწავლებლები.
9. შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი წარწერით „შეთანხმებულია“ და ვალიდატორის ხელმოწერით გამოიყენება პროფესიული სტუდენტების შუალედური შეფასებისათვის.

მუხლი 5. განმეორებითი შუალედური შეფასება

1. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია, აღადგინოს შუალედური შეფასება, რომელზეც არ გამოცხადდა საპატიო მიზეზით. ასეთ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი დასაბუთებული განცხადებით მიმართავს ცენტრის დირექტორს პირველივე შესაძლებლობისთანავე, მაგრამ, არაუგვიანეს შუალედური შეფასების თარიღიდან 2 სამუშაო დღისა და წარუდგენს მტკიცებულებას, რომელიც ადასტურებს შესაბამისი საპატიო მიზეზის არსებობას.
2. შუალედურ შეფასებაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი, რომელიც პროფესიულ სტუდენტს აძლევს მისი აღდგენის უფლებას, შეიძლება იყოს; სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა (ავადმყოფობა); ახლო ნათესავის (მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, ბაბუა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე, მასთან მუდმივად მცხოვრები პირი) გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რომელიც პროფესიული სტუდენტისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის პროფესიული სტუდენტის შუალედურ შეფასებაზე გამოცხადებას.
3. საპატიო მიზეზი - სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა (ავადმყოფობა) დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს შუალედურ შეფასებაზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.
4. განმეორებითი შუალედური შეფასება უნდა ჩატარდეს შუალედური შეფასების დასრულებიდან 20 სამუშაო დღის ვადაში.
5. პროფესიულ სტუდენტს, რომელიც შუალედურ შეფასებაზე (მათ შორის, განმეორებით შუალედურ შეფასებაზე) არ გამოცხადდება, შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.